პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
3 აგვისტო
1939 წ.
№ 176 (5576)
ფასი 10 კაპ.

მთავრობის დადგენილებას სესხის გამოშვების შესახებ დიდი კმაყოფილებით და სიხარულით დაუჭირეს მხარი ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმა.

აწერენ რა ხელს სესხზე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი ახდენენ საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სოციალიზმის საქმისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების მძლავრ დემონსტრაციას.

რევოლუციის ღვაწლმოსილი ღიდ მემანქანეს

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა, გზათა სახალხო კომისარიატის აქტივის და მათი ოჯახის წევრთა კრება, რომელიც გაიმართა ქ. მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით და მიეძღვნა რკინიგზელთა სრულიად - საკავშირო სასიხარულო დღეს — მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, რევოლუციის ღვაწლმოსილ დიდ მემანქანეს, სოციალიზმის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ყველა რკინიგზელი უდიდესი სიხარულის გრძნობით იგონებს 1935 წლის 30 ივლისის დაუვიწყარ ისტორიულ დღეს, იმ დღეს, როდესაც თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა მიიღეთ კრემლში რკინიგზის ტრანსპორტის საუკეთესო ადამიანები.

ოთხი წლის წინათ რკინიგზელებმა პირველ წარმატებებს მიაღწიეს მუშაობაში. თქვენ შეაქეთ რკინიგზელები პირველი წარმატებებისათვის და აღაფრთოვანეთ რკინიგზელთა მთელი სამილიონიანი არმია, რათა ბოლშევიკურად ებრძოლათ რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის.

თქვენმა ბრძნულმა მითითებებმა იმის შესახებ, თუ რა დიდად საპატიოა ტრანსპორტზე მუშაობა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ტრანსპორტის თვითეულ მუშაკს, იმის შესახებ, რომ ყველა, დაწყებული მეისრით და გათავებული სახალხო კომისრით, — სახელმწიფო პოსტზე იმყოფება, საკუთარი ძალების რწმენა ჩაგვინერგა, პასუხისმგებლობის გრძნობა განამტკიცა ჩვენში, დახმარება გაგვიწია იმაში, რომ შეგვეგნო ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ამის შემდეგ ტრანსპორტი მტკიცედ მიდის თქვენ მიერ დამუშავებული გენიალური მარშრუტით, სტალინურ გამარჯვებათა მარშრუტით.

დღეს მთელი ქვეყნის წინაშე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გასული ოთხი წლის მანძილზე რკინიგზელები წარმატებით ასრულებდნენ და მომავალშიც ღირსეულად შეასრულებენ სტალინურ დავალებას.

თქვენმა მზრუნველობამ ტრანსპორტისათვის შესაძლებლობა მოგვცა შეგვეიარაღებინა იგი უახლესი ტექნიკით, მწყობრში ჩადგა ათასობით თანამედროვე მძლავრი ორთქლმავალი, ათიათასობით დიდტვირთიანი ვაგონი, სავაგონო პარკი მთლიანად გადაყვანილია ავტოდამუხრუჭებაზე და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ავტომატური გადაბმით არის მოწყობილი. მრავალი ათასი კილომეტრით გაფართოვდა რკინიგზის ქსელი.

კონტრრევოლუციურ მეზღვარეთა განადგურებამ საშუალება მოგვცა ყოველმხრივად გამოგვეყენებინა სარკინიგზო ტექნიკა, მან უდიდესი რეზერვები აღმოაჩინა ტრანსპორტის ზრდისათვის, ხელსაყრელი პირობები შეჰქმნა მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოსავლინებლად, სტახანოვურ - კრივონოსული მოძრაობის გასაშლელად.

რუტინასთან, უძრაობასთან, მეზღვრულობასთან ბრძოლაში, ხალხის მტრებთან ბრძოლაში გამოიბრძმედნენ ტრანსპორტის კადრები, გამოიზარდნენ ახალი შესანიშნავი ადამიანები. ტრანსპორტზე ნახევარ მილიონზე მეტი სტახანოველ-კრივონოსელია. ესენი არიან თავიანთი საქმის პატრიოტები, ჩვენი დიადი დედის—სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი ბოლომდე ერთგულნი, რომელთაც უნარი შესწევთ გამოსწურონ ტექნიკას ყოველივე, რის მოცემაც მას შეუძლია, რომელთაც უნარი შესწევთ წინ წაიყვანონ ტრანსპორტის ლოკომოტივი, წაიყვანონ წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ.

ამ წარმატებებს რკინიგზის ტრანსპორტი უნდა უმადლოდეს ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, თქვენს დაუღალავ პირად მზრუნველობას, იოსებ ბესარიონის-ძევ.

მაგრამ ჩვენ არ ვმედიდურდებით, ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რათა შევასრულოთ თქვენი მითითებანი რკინიგზის ტრანსპორტის ყველა ნაწილის შეთანხმებული მუშაობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ტრანსპორტის კონვეიერი აწყობილად მუშაობდეს, როგორც საათის ზუსტი მექანიზმი.

მზარდი სახალხო მეურნეობა ახალ გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ტრანსპორტს ჩვენი დიადი სამშობლოს ტვირთნაზიდვის მხრივაც და მგზავრთა მომსახურების მხრივაც. ყოველივე ეს მოითხოვს მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებას, სრულყოფას.

რკინიგზელთა მთელი არმია მუშაობს იმაზე, რომ მოახდინოს ახალი რეზერვების მობილიზაცია ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის საქმისათვის.

მთელი დიადი საბჭოთა ხალხი, გმირი ხალხი, შემომქმედი ხალხი, პარტიის XVIII ყრილობაზე თქვენ მიერ გაკეთებული მოხსენებით, ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, გაერთიანებული ერთი მისწრაფებით — ააშენოს კომუნიზმი, ენტუზიაზმით შრომობს სახალხო მეურნეობის მე-3 ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. ხალხის მთელი ძალები, ცოდნა და უნარი ბოლშევიკური მგზნებარებით არის წარმართული იქითკენ, რომ სასწრაფოდ იქნას გადაჭრილი თქვენს მიერ დასახული ისტორიული ამოცანა: უახლესი პერიოდის განმავლობაში ეკონომიურადაც გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს და განვახორციელოთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა.

სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო **სტალინ**, რომ ჩვენ, რკინიგზელები, ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და თქვენი მითითებების შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ვიქნებით.

სიტყვას გაძლევთ, რომ არ გადავუხვევთ სტალინურ მარშრუტს, მომავალშიაც დაუღალავად ვეცდებით მივაღწიოთ რკინიგზის ტრანსპორტის ყველა ნაწილის შეთანხმებულ მუშაობას — მთელი ჩვენი მუშაობის წარმატების ამ გადამწყვეტ პირობას.

სიტყვას გაძლევთ, რომ პატიოსნად, აშკარად, პიროვნებათა მიუხედავად, გავაკრიტიკებთ ყველა ჩვენს ნაკლოვანებასა და დაუდეგრობით ჩადენილ შეცდომას. ჩვენ გვახსოვს თქვენი შორსმჭვრეტი მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენი პროგრესის საიდუმლოება მდგომარეობს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაში. „კრიტიკა და თვითკრიტიკა, — აშბობდით თქვენ რკინიგზელთა მიღების დროს, — ის გასაღებია, რომლის დახმარებითაც ჩვენ ვამჟღავნებთ და თავიდან ვიცილებთ სოციალისტური მშენებლობის ნაკლოვანებებს და მივიწევთ წინ“.

თქვენი მზრუნველობისა და იმ განსაკუთრებული ყურადღების მეოხებით, რომელსაც თქვენ რკინიგზის ტრანსპორტს აქცევთ, ახლა ჩვენ ახალი მძლავრი ტექნიკა გვაქვს.

სიტყვას გაძლევთ, რომ ბოლშევიკურად გამოვიყენებთ, ავითვისებთ ამ ტექნიკას, გამოვწურავთ მისგან ყოველივეს, რის მოცემაც მას შეუძლია.

და თუ მრისხანე ამბები დატრიალდება, თუ მტერი თავს დაესხმის ჩვენს წმინდა მიწა-წყალს, ერთი კაცივით აღვსდგებით ჩვენი სამშობლოს დასაცავად.

სიტყვას გაძლევთ, რომ რკინიგზელები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთი სახალხო კომისრის დაბირებას, რომელიც მან მისცა პარტიის ყრილობას. ომის შემთხვევაში ჩვენ უზრუნველვყოფთ წითელ არმიას ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება, ყველაფერს თავის დროზე გადავზიდავთ იმისათვის, რომ, რასაც ჩვენ გადავზიდავთ, მან ზარბაზნების ლულებით, თვითმფრინავებით გადაუგზავნოს მტრებს.

სულიერად მტკიცეა რკინიგზელთა არმია, დიდია მასში გამარჯვების ნებისყოფა, მათ შესწევთ შემართებისა და შემოქმედების უნარი.

ჩვენი საყვარელი სახკომი **ლ. მ. კაგანოვიჩი** ყოველდღიურად აღაფრთოვანებს რკინიგზელთა მთელ არმიას დაუშრეტელი ენერგიით, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით და გამარჯვების რკინისებური ნებისყოფით. ჩვენი ქვეყნის რკინიგზის კონვეიერი აწყობილად და ზუსტად იმუშავებს, როგორც კარგი საათის მექანიზმი. ამის საწინდარია ყველა რკინიგზელის მხურვალე მისწრაფება იაროს წინ სტალინური მარშრუტით და იხელმძღვანელოს სტალინური საგზურით.

ძრავალ და მრავალ წელს იცოცხლოს და იღვწგრძელოს. ყველა მშრომელის საკეთილდღეოდ საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა, რევოლუციის ლოკომოტივის დიდმა მემანქანემ ამხანაგმა **სტალინმა!**

(მილებულია 1939 წლის 30 ივლისს რკინიგზის ტრანსპორტის დღისადმი მიძღვნილ კრებაზე მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში. დაესწრო 17 ათასი კაცი).

საშრანგეთის პრესა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

პარიზი, 1 აგვისტო (საკადრო). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა თვალსაჩინო ყურადღებას იპყრობს საფრანგეთში. მთელი რიგი გაზეთები და ჟურნალები („ერ ნუველ“, „რეგარი“ და სხვ.) ათავსებენ გამოფენისადმი მიძღვნილ სტატიებს. პარიზის რადიოგადაცემის სადგურმა სპეციალური გადაცემა მიუძღვნა გამოფენას.

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისას პ. წ. 1 აგვისტოს



ამხანაგებო!

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. მასში გამოხატულებას პოულობს დიადი გამარჯვება საკოლმეურნეო წყობილებისა, რომელმაც საბოლოდ გასწმინდა საბჭოთა მიწა-წყალი კულაკებისა და სხვა ექსპლოატატორებისაგან, გაანთავისუფლა გზა სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი აღმავლობისათვის.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომლის მოწყობის თაოსნობა ეკუთვნის დამკვრელ კოლმეურნეთა 1935 წლის მეორე სრულიად-საკავშირო ყრილობას, არის, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობათა გამოფენა, გამოფენა საკოლმეურნეო გამარჯვებათა, რომლებშიაც ჩვენ ვხედავთ ყოვლისმძლე ძალას მუშათა და გლეხთა კავშირისას კომუნიზმის დროშის ქვეშ **(ტაში)**, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშის ქვეშ **(მჭუხარე ტაში, შეძახილები „ვაშა!“)**. ამით განსხვავდება იგი რადიკალურად 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისაგან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული იყო ერთპიროვნული წვრილი გლეხური მეურნეობა, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ ძალიან სუსტნი იყვნენ და უმნიშვნელო ადგილი ეკავათ.

ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა აჯამებს იმ ათწლეულის შედეგებს, რომლის დამდეგსაც გლეხთა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი წვრილი ერთპიროვნული მეურნეობისაგან მსხვილი საკოლმეურნეო მეურნეობისაკენ. მოიგონეთ, ამხანაგებო, „დიადი გარდატეხის წელიწადი“ — 1929 წელი, როცა მოხდა გლეხობის ეს შემობრუნება კოლექტივიზაციის გზისაკენ. მაშინ, ათი წლის წინათ, კოლმეურნეობათა საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის ნიადაგი უკვე მრავალმხრივ მომზადებული იყო. საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა. ჩვენმა ინდუსტრიამ იწყო ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი გამომუშავება სოფლის მეურნეობისათვის. კულაკობასთან ბრძოლა, განსაკუთრებით 1928-1929 წლებში პურის დამზადების დროს, მთელი ფრონტით გაიშალა და კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ საერთო შეტევად გადაიქცა. სოფლად უკვე არსებობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დიდი გამოცდილება. პირველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი ცხონდა გახდა. პარტიამ და მთავრობამ ამ დროისთვის დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა განემარტათ გლეხებისათვის, რომ სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა და ქალაქების პურით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გლეხობა კოლმეურნეობების გზაზე, ერთპიროვნულ მეურნეობათა კოლექტივიზაციის გზაზე გადავა. მაშინ მოხდა ჩვენი ქვეყნის გლეხობის ისტორიული შემობრუნება კოლმეურნეობათა გზისაკენ. თავის ცნობილ სტატიაში „დიადი გარდატეხის წელიწადი“ ამხანაგი სტალინი 1929 წლის დამლევს სწერდა:

„საშუალო გლეხი კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა. ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირფესვიანი გარდატეხის საფუძველი, რომელიც განვლილ წელიწადში საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მოღწევას წარმოადგენს...

იმსხვრევა და ქარწყლდება უკანასკნელი იმედი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის აღდგენაზე, — „ქერძო საკუთრების წმინდა პრინციპი“. გლეხები, რომლებსაც ისინი კაპიტალიზმისათვის საჭირო ნიადაგის გამანყაღრებელ მასალად სთვლიან. მასობრივად სტოვებენ „ქერძო საკუთრების“ სანაქებო დროშას და გადადიან კოლექტივიზმის რელსებზე, სოციალიზმის რელსებზე. იმსხვრევა კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი“.

კოლექტივიზაციის გზისაკენ გლეხობის ამ მობრუნებამ ჩვენს პარტიას და მთავრობას საშუალება მისცა ამოცანად დაესახათ კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასვლა ახალ პოლიტიკაზე — მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. გადალახა რა კულაკებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების გაფანტორებული წინააღმდეგობა სოფლად, გადალახა რა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ნაბოლარების, — ყველა ამ ტროცკისტთა, მემარჯვენეთა და მისთანათა წინააღმდეგობა, — ბოლშევიკურმა პარტიამ სოფლის მშრომელნი დარაზმა თავისი დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც მტრული ელემენტების მთელი წინააღმდეგობის მიუხედავად და ყოველგვარი „მემარცხენე“ გადამხვევების საშინაო გადახრების მიუხედავად, აშენებდა კოლმეურნეობებს, — და სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა **(მჭუხარე ტაში)**. გლეხობის შემობრუნება კოლმეურნეობათა გზაზე 1929-1930 წლებში და საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც კოლმეურნეობათა შემდგომი წარმატებანი, განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადის სახელთან — დიდი **სტალინის** სახელთან **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, შეძახილები „ვაშა“)**.

თავიანთ გამარჯვებათა განსამტკიცებლად, კოლმეურნეობებს უნდა გაევლოთ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის მძიმე პერიოდი. სამი-ოთხი წელი დასჭირდა იმას, რომ კოლმეურნეობათა ორგანიზაცია ძირითადად დამთავრებულიყო, რომ გლეხობის ძირითადი მასა საბოლოოდ მიჰმაგრებოდა კოლმეურნეობებს. ამის შემდეგ დაიწყო სოფლის მეურნეობის თანდათანობითი და განუხრელი აღმავლობა კოლმეურნეობათა საფუძველზე, საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე.

და აი ახლა, სულ ათიოდე წლის შემდეგ, ჩვენ უკვე გვაქვს სოფლად განმტკიცებული კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რაც განუყოფლად გაბატონებულია ჩვენს ქვეყანაში. ახლა უკვე მთელი სათესი ფართობი ფარობით, მცირე გამონაკლისის გარდა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნის. ახლა ჩვენს ქვეყანაში ერთპიროვნულ მეურნეობათა ნათესები ნახევარ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. ჩვენი სოფლის მეურნეობა უზვად არის შეიარაღებული ახალი ტექნიკით, როგორსაც იგი წინათ არ იცნობდა. მძლავრი ტრაქტორების რაოდენობა სოფლის მეურნეობაში ნახევარ მილიონ ცალს აღემატება. ეს ტრაქტორები უდიდეს სამუშაოს ასრულებენ და ბევრად აადვილებენ კოლმეურნეთა შრომას. კომბაინების რაოდენობამ 165 ათასს მიაღწია. წელს კომბაინებმა მარცვლეულ კულტურათა მთელი სათესი ფართობის ნახევარზე მეტი უნდა აიღონ. სატვირთო ავტომობილების რაოდენობა 200 ათასს აღემატება. სოფლის მეურნეობაში ბევრია აგრეთვე სხვა მანქანები, რომლებიც მას ესაჭიროება, და წლითიწლობით იზრდება მისი ახალი ტექნიკის ძირითადი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვმა 6,5 ათასს მიაღწია. ეს მტს-ები მთავარ ორგანიზატორულ სამუშაოს ასრულებენ მთელი საკოლმეურნეო მეურნეობის აღმავლობის საქმეში. საბჭოთა მეურნეობების რიცხვმა თითქმის 4 ათასს მიაღწია და მათ შორის იზრდებიან სანიმუშო მეურნეობათა რიგები. ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ძირითადად უკვე დამთავრებულია ჩვენი მიწათმოქმედების რეკონსტრუქცია ახალი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე **(ტაში)**. თანამედროვე ტექნიკით შეიარაღება ჩვენს სოფლის მეურნეობაში ახლა უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

შეიქმნა მექანიკოსთა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, შოფერთა მრავალრიცხოვანი კადრები, — მათი რიცხვი 1,5 მილიონ კაცს აღემატება. ამ წრიდან და, განსაკუთრებით, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა წრიდან, უკვე დაწინაურდა საქმის მცოდნე მრავალი ადამიანი, რომლებმაც სტახანოვური მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები მოგვცეს, და მათ შორის საუკეთესოთა სახელებს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი იცნობს **(ტაში)**. ამ წლების მანძილზე გლეხთაგან ასიათასობით და მილიონობით ადამიანები გადაიქცნენ მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის გამოცდილ ორგანიზატორებად კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეო ბრიგადებში. ეს ადამიანები სწრაფად ეუფლებიან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო კულტურას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ შექმნილია ხელსაყრელი პირობები ჩვენი მიწათმოქმედების და მთელი სოფლის მეურნეობის ძალების მძლავრი აღმავლობისათვის. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ უკვე გასულ წელს ერთნახევარჯერ გადააჭარბა სოფლის მეურნეობის 1913 წლის საერთო პროდუქციას. აღმავლობაა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში: მარცვლეულისა და ბამბის, ჯარხლისა და სელის, ბოსტნეულისა და ციტრუსოვანი სუბტროპიკული კულტურების დარგში. წარმატებით სრულდება ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უზრუნველვყოთ 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლის მოსავალი. მაგალითად, წელსაც, თუ კარგად მოვაწყობთ მოსავლის აღებას, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს 7 მილიარდი ფუთი მარცვლის აღების იმედი ვიქონიოთ **(ტაში)**. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა უდიდესი ნაბიჯებით მიმდინარეობს სოციალისტური მეურნეობის აღმავლობა.

მეცხოველეობის დარგშიც, სადაც ჩვენ ყველაზე მეტი ჩამორჩენა გვქონდა, უკანასკნელ წლებში სერიოზული გაუმჯობესება გვაქვს. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილება მიცხოვრებულობის აღმავლობის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით მიღებული ზომები მეცხოველეობის განვითარებისა და ხორცის ჩაბარების ძველი სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლისათვის, იმ მიწის რაოდენობის მიხედვით, რომელიც კოლმეურნეობას აქვს, ადგილების იმ კოლმეურნეობათა მდგომარეობას, რომლებიც ყველაზე მეტად ზრუნავენ მეცხოველეობის განვითარებისათვის, და ამასთან ერთად ბიძგს აძლევს მეცხოველეობის გადაქცევას განვითარებულ ყველა კოლმეურნეობაში. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ 1939 წელი მნიშვნელოვნად წასწევს წინ საკოლმეურნეო მეცხოველეობას **(ტაში)**.

სულ ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენი გლეხობის მასამ იწყო კოლმეურნეობათა შენება. ახლა ჩვენ გვაქვს 240 ათასი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელი გლეხობა. ჩვენს თვალწინ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მიმდინარეობს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, რაც სულ უფრო დაუფარო ფართოვდება. კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლებული, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული, ორგანიზებული, როგორც მსხვილი საზოგადოებრივი წარმოება, ჩვენი სოფლის მეურნეობა წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. ჩვენი სოფელი საბოლოოდ განთავისუფლდა მემამულეებისა და კულაკებისაგან, ყოველგვარი ექსპლოატატორებისაგან. ჩვენს სოფელში უკვე აღარ არიან ღარიბი გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ გლეხთა მასის ერთ მესამედს შეადგენდნენ, ხოლო რევოლუციამდე გლეხობის ნახევარზე მეტი იყვნენ. ჩვენ სამუდამოდ განვთავისუფლდით ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს ამ თანამგზავრისაგანაც. კოლმეურნე გლეხები ახლა მხოლოდ საკუთარი თავისათვის, თავისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის შრომობენ **(ტაში)**. ჩვენს ქვეყანაში ყველა კოლმეურნე გლეხისათვის გახსნილია გზა შეძენილი და კულტურული ცხოვრებისაკენ **(ტაში)**. არცერთ სხვა ქვეყანაში, კაპიტალიზმის დროს ვერასოდეს ვერც კი ოცნებებენ ამაზე მშრომელი გლეხები.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ამის უმაძრავ დამამტკიცებელ საბუთს იძლევა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდისა და განმტკიცების მრავალი ათასი ცოცხალი მაგალითის ჩვენებით, კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების უამრავი მაგალითის ჩვენებით. ეს გამოფენა გვიჩვენებს ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ძალების დაწყებულ მძლავრ აყვავებას. იგი ბრწყინვალედ აშუქებს ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ზრდასა და აღმავლობას, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სხვადასხვა სახის მეცხოველეობის განვითარებას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობათა წარმატებებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ფერმების წარმატებებს, სამეცნიერო დაწესებულებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების ცალკეულ გამოჩენილ მუშაკთა წარმატებებს, ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცალკეულ მოწინავეთა და წარჩინებულ ადამიანთა წარმატებებსა და მიღწევებს **(ტაში)**.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ჩვეულებრივი შაბლონებით როდია მოწყობილი.

აქ უბრალოდ კი არ არის წარმოდგენილი მუშაობის ესა თუ ის კარგი ნიმუშები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ესა თუ ის ნიმუშები. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება განსაზღვრულია კანდიდატთა შერჩევის ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული პირობებით. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მრავალ მილიონიან არმიაში ყველაზე უკეთ ახდენენ სოციალისტური მეურნეობის მოწინავეთა ნიმუშების ათვისებას და ყველაზე უკეთ ავლენენ ინიციატივას სოციალისტური მეურნეობის ახალ-ახალი ფორმების შექმნაში. ამ ადამიანებს ჩვენ ვხედავთ აქ, გამოფენაზე, ჩვენ ვხედავთ მათ ნამუშევრებს, მათ მიღწევებს, მათ ნიჭიერებას, მათ ენერგიას, მათ ბედნიერებას.

ჩვენ ვხედავთ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, ჩვენ ვხედავთ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ნიჭიერ ხალხ

საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ მესამე ხუთწლედის სესხის გამოშვებას

„მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე (მეორე წლის გამოშვება)“ ხელმოწერის ჩაჯარებაში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 1939 წლის 1 აგვისტოს გამოუშვა „მესამე ხუთწლედის (მეორე წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხი“, რომლის შემოსავალიც უდიდესი განძი იქნება იმ გრანდიოზული ამოცანების შესრულების საქმეში, რაც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე მესამე სტალინურ ხუთწლედში.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას ბოლშევიკურად მოაწყონ ამ სესხზე ხელმოწერის ჩატარება, ფართოდ განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებსა და ყველა მშრომელს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სესხს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალურ - კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით სსრ კავშირის წინააღმდეგ ფაშისტთა პროვოკაციების გაძლიერების პირობებში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სესხის შესახებ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად მთელი პროფკავშირული აქტივი უნდა მიიზიდონ და უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა მუშამ და მოსამსახურემ მოაწეროს ხელი სესხს.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო გაფრთხილებას იძლევა, რომ ხელმოწერა სასტიკი ნებაყოფლობითი წესით უნდა ტარდებოდეს, ამასთან საჭიროა ურჩიონ მუშებსა და მოსამსახურეებს ხელი მოაწერონ სესხს ორი-სამი კვირის ხელფასის რაოდენობით, მაგრამ ამასთანავე ხელი არ შეუშალონ იმასაც, რომ იმ პირებმა, რომლებსაც დიდი ხელფასი აქვთ, ხელი მოაწერონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო დარწმუნებულია, რომ „მესამე ხუთწლედის (მეორე წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხის“ გამოშვებას ყველა მშრომელი ისეთივე აღფრთოვანებით შეხვდება, როგორითაც ხვდებოდნენ ისინი საბჭოთა მთავრობის წინანდელ სესხებს.

სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით საბჭოთა კავშირის მშრომელები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი და სრულ მზადყოფნას მთელი თავიანთი ძალები და საზსრები მოახმარონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას და მის დაცვას.

გაზეთებში გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე, 1 აგვისტოს საღამოს, თბილისის მშრომელებმა რადიოთი მოისმინეს საკავშირო მთავრობის დადგენილება მესამე ხუთწლედის სესხის გამოშვების შესახებ (მეორე წლის გამოშვება).

ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში მეორე და მესამე ცვლის მუშა-მოსამსახურეთა შორის მაშინვე ჩატარდა სახელდახელო მიტინგები. უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქის მშრომელები მთავრობის გადაწყვეტილებას. 1 აგვისტოს ღამითვე დაიწყო ახალ სესხზე ხელისმოწერა. 2 აგვისტოს დილით გაზეთების მიღებისთანავე მასობრივად ჩატარდა მიტინგები. სესხზე ხელისმოწერა მასების უდიდესი აქტივობითა და დარაზმულობით ტარდება.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეორე წლის გამოშვება) გამოშვების პირველ დღესვე, საღამოს 10 საათისათვის თბილისში სესხზე ხელმოწერის თანხამ მიაღწია 25.487.920 მანეთს.

ცალკე რაიონების მიხედვით, თბილისში საღამოს 10 საათისათვის:

ლენინის რაიონში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 15.357 მშრომელს 3.808.935 მანეთის რაოდენობით. სტალინის რაიონში 16.625 მშრომელს ხელი მოწერილი ჰქონდა 4.547.950 მანეთის სესხზე. 26 კომისრის რაიონში — 9.443 მშრომელმა ხელი მოაწერა 2.777.425 მანეთის სესხზე. ორჯონიკიძის რაიონში—7.660 მშრომელმა ხელი მოაწერა 2.121.180 მანეთის სესხზე. კიროვის რაიონში 10.493 მშრომელმა ხელი მოაწერა 2.569.400 მანეთის სესხზე. ბერიას რაიონში 17.436 მშრომელმა ხელი მოაწერა 6.798.760 მან. სესხზე. მოლოტოვის რაიონში 12.704 მშრომელმა ხელი მოაწერა 2.864.270 მანეთის სესხზე.

გუშინ, საღამოს, 10 საათისათვის, სესხზე ხელმომწერთა რაოდენობა უდრიდა სულ 89.718 კაცს (1.607 კოლექტივიდან).

ბელადის სახელობის ქარხანაში

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას მესამე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

ცვლების მიხედვით ქარხნის საამქროებში გამართულ საერთო კრებებზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია ახალი სესხის გამოშვების შესახებ. სიტყვებით გამოსული მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ერთსულოვან აღტაცებას გამოთქვამდნენ სესხის გამოშვების გამო, აცხადებდნენ, რომ იგი მოხმარდება ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განტკიცებას და ქვეყნის ეკონომიური აღორძინებას.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ხელის მოწერა. სახარატო საამქროს სტახანოველმა ხარატმა ამხ. ეს. ბერიაშვილმა სესხზე ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასის—ათასი მანეთის რაოდენობით, ორდენოსანმა მიხეილ გეწაძემ 1.600 მანეთზე, შ. ხადირაძემ—2.300 მანეთზე, სამჭედლო საამქროს მუშებმა ამხ. კ. ილურიძემ—1.100 მანეთზე, მიხეილ გუგულაშვილმა—900 მანეთზე, პეტრე ჟვორენკომ—900 მანეთზე, ე. ესებუამ —940, სახალხო-სავაგონო საამქროს სტახანოველმა მექვაბემ ამხ. ფეიქრიშვილმა—1.000 მანეთზე და ა. შ.

2 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათისათვის ქარხანაში ახალ სესხზე ხელმოწერამ მიაღწია სულ 793.277 მანეთს. ამ თანხაზე ხელი მოაწერა 2788 კაცმა. ხელმოწერა გრძელდება.

ლ. გვარამაძე

ბათუმის მშრომელების აღფრთოვანება

ბათუმი, 2 აგვისტო (საკ. კორ.). ბათუმის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

ცნობის მიღებისთანავე პირველ აგვისტოს ღამით შესდგა სტალინის სახელობის ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის, „გლავნეფტის“ ბათუმის ბაზის, ნავსადგურის და რკინიგზის ბათუმის კვანძის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგები, მიძღვნილი ახალი სესხის გამოშვებისადმი. ნავსადგურის მტვირთავთა მიტინგის დამთავრებისას იქვე ჩატარდა სესხზე ხელისმოწერა. მოკლე ხანში ხელი მოაწერა 104 მტვირთავმა 23 ათასი მანეთის რაოდენობით. დღეს დილით მიტინგები ჩატარდა მანქანათმშენებელ და ტყავის ქარხნებში, სამკერვალო და თამბაქოს ფაბრიკებში და ქალაქის სხვა წარმოება - დაწესებულებებში. სესხზე ხელისმოწერა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს. 12 საათისათვის ქალაქის შემნახველ სალაროში შემოსულია ერთ მილიონ მანეთზე მეტის ხელმოწერა.

კ. დოგორჯგინიძე

სესხზე ხელისმოწერა ორგანიზებულად ჯარდება

გუშინ, დილიდანვე თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ყველა საამქროს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა მესამე ხუთწლედის მეორე წლის სესხის გამოშვების შესახებ. ყველა საამქროში შესდგა მიტინგები; ქარხნის მუშა-მოსამსახურენი აღტაცებული იყვნენ ახალი სესხის გამოშვებით.

დილიდანვე დაიწყო ხელისმოწერა ახალ სესხზე. კარგად მუშაობენ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიები. დღის ორი საათისათვის ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ხელი მოწერილი ჰქონდათ 184.680 მანეთის სესხზე.

მუშა-მოსამსახურენი დიდ აქტივობას იჩენენ ახალ სესხზე ხელისმოწერის საქმეში: საკუმულატორო საამქროს სტახანოველმა მუშამ ვ. ლაზარენკომ, რომლის თვეური გამომუშავება საშუალოდ 600-700 მანეთს შეადგენს, ხელი მოაწერა 1000 მანეთის სესხზე. სათუნუქო საამქროს ოსტატმა არ. სიმონიანმა ხელი მოაწერა 1.100 მანეთის სესხზე, ქარხნის ეკონომისტმა ტეროგანეზოვმა 750 მანეთზე, სამჭედლო საამქროს სტახანოველმა ოსტატმა ჯავახიშვილმა 800 მანეთის სესხზე და სხვ. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

გორის რაიონში

გორი, 2 აგვისტო (საკ. კორ.). გორში იმართება მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები. ხალხი მიესალმება მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. სესხზე უველგან დიდი სიხარულით აწერენ ხელს. დღის 3 საათისათვის ქალაქ გორში სესხზე ხელი მოაწერა 2770 კაცმა 524 ათასი მანეთის რაოდენობით. მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოში კოლმეურნეებმა 3 საათის განმავლობაში ხელი მოაწერეს 9 ათასი მანეთის სესხზე.

ხელისმოწერა დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ს. ყურაშვილი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირებისათვის ნარჩინების დამაგებითი ნიშნების შესახებ

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების შესახები მომქმედი დებულების დამატებად და განსავითარებლად, იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით გამოირჩნენ ის მოქალაქენი, რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭათ და რომლებიც ახალ საგმირო საქმეებს სჩადიან:

1. დაწესდეს ოქროს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმის მედალი „საბჭოთა კავშირის გმირი“ შემდეგი წარწერით წინა პირზე: „ს. კ. გმირი“.

2. „საბჭოთა კავშირის გმირის“ მედლით დაჯილდოებული უნდა იქნან საბჭოთა კავშირის გმირები, ამასთან პირველი მედალი მათ ეძლევათ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭებასა და ლენინის ორდენის ჩაბარებასთან ერთად.

3. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც ჩაიდინა მეორე საგმირო საქმე, არა ნაკლები იმისა—რისთვისაც სხვებს—მსგავსი საგმირო საქმის ჩადენთ, საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება ენიჭებათ, ჯილდოდება „საბჭოთა კავშირის გმირის“ მეორე მედლით, და საგმირო საქმეების აღსანიშნავად გმირის სამშობლოში სათანადო წარწერითურთ იდგმება კვარცხლბეკზე ბრინჯაოს ბიუსტი.

4. საბჭოთა კავშირის გმირი, რომელიც დაჯილდოებულ იქნა „საბჭოთა კავშირის გმირის“ ორი მედლით და რომლის ბიუსტიც დაიდგა მის სამშობლოში, მესამე, წინათ ჩადენილის მსგავსი საგმირო საქმისათვის ჯილდოდება „საბჭოთა კავშირის გმირის“ მესამე მედლით და მისი საგმირო საქმეების აღსანიშნავად მოსკოვში, საბჭოების სასახლესთან კვარცხლბეკზე სვეტის სახით იდგმება მისი ბრინჯაოს ბიუსტი სათანადო წარწერითურთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1939 წ. 1 აგვისტო.

უცხოეთის არმიების წარმომადგენლების სამძიმარი საბჭოთა კავშირის გმირის დივიზიის მეთაურის 3. ს. ხოლზუნოვის და მისი ეკიპაჟის დაღუპვის გამო

საბჭოთა კავშირის გმირის დივიზიის მეთაურის **ვ. ს. ხოლზუნოვის**, მაიორ **ს. ა. ჩერკასოვის**, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერ **ა. გ. ტიტოვისა** და მამასახლის **ი. კ. კურნიშევის** ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით 1 აგვისტოს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატს ეწვივნენ და სამძიმარი განუცხადეს:

გერმანიის არმიის სახელით—გერმანიის სამხედრო ატაშემ გენერალმა კესტრინგმა, იტალიის არმიის სახელით—იტალიის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა ვალფრედი ბონზომ.

გარდა ამისა მიღებულია სამძიმარი პოლონეთის სამხედრო-საჰაერო ატაშეს, მაიორ შჩეკოვსკისაგან.

გეგმის 102.3 პროცენტი

ცხაკაია, 2 აგვისტო (საქდესი). ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს 29 ივლისისათვის. მოკრეფილია 228.250 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 102,3 პროცენტს შეადგენს.

რაიონში ჩაის ფოთლის კრეფაში უველაზე წინ არიან: ფოცხოს სტალინის სახელობისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობები, ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, ნოქალაქევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში

„საჩაის“ 1 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა ტონობით	დამზადებულია სულ დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმის % შესრულება	ივლისის გეგმის % შესრულება ტონობით
ბათუმი	1.705	1.058	62,1	91,4
ქობულეთი	7.848,6	4.836,2	61,6	92,5
გალი	3.128	2.278,2	72,8	100,1
ოჩამჩირე	1.793	1.254,5	70	90,3
სოხუმი	14	9,4	67,1	108,6
გუდაუთი	16	19,1	119,4	192,5
მახარაძე	10.011	6.308,8	63	104,7
ჩოხატაური	1.253	884,1	70,6	106,1
ლანჩხუთი	3.350	2.131,5	63,6	101.6
სამტრედია	261	196,1	75,1	119,2
წულუკიძე	1.151	820,3	71,3	103,5
ქუთაისი	317	270,2	85,2	101,4
ტყიბული	510	317,2	62,2	100,3
ცხაკაია	929	755,4	81,3	109,2
გეგეჭკორი	2.626	1.627,3	62	84,9
ზუგდიდი	4.881,4	3.481,5	77,7	103,3
წალენჯიხა	1.618	1.114,2	68,9	95,9
ჩხოროწყუ	1.302	945,8	72,6	103,4
ხობი	386	264	68,4	94,8
სულ	43.100	28.571,8	66,3	99,1

ზრამვაელთა სიხარული

გუშინ, 2 აგვისტოს, დილის შესვენების დროს შესდგა ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის მუშათა სახელდახელო მიტინგები.

საბჭოთა მთავრობის დადგენილების ახალი სესხის გამოშვების შესახებ ტრამვაელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მოძრაობის დარგის მუშათა მიტინგზე სიტყვით გამოსული ამხ. ტყეშელაშვილი, ქორიძე, ჯოგლიძე, ნასყიდაშვილი და სხვები ერთსულოვნად მიესალმნენ ჩვენი მძლავრი სოციალიზმის ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ, რომელიც გაფვალისწინებულია მესამე ხუთწლედში სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

— ჩვენ ვაძლევთ სესხს მშობლიურ ქვეყანას, რათა კიდევ უფრო უძლეველი გავხადოთ გამარჯვებული სოციალიზმის სამშობლო, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება და რაც შეიძლება მოკლე დროში დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურადაც, — განაცხადეს სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა.

მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ახალ სესხზე ხელისმოწერა. დღის 12 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 658 კაცს 156.675 მანეთის რაოდენობით.

ზეინკლებმა ვ. ბარსეგოვმა და გ. ვართანოვმა, ტროლეიბუსის წამყვანმა ი. ზარიძემ, ან. ოგანეზოვმა და მრავალმა სხვამ სესხზე ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

სესხზე ხელისმოწერა გრძელდება.

თბილისის მშრომელები დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. სურათზე: მიტინგი ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში. საქდესის ფოტოქრონიკა

სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიები

აკ. ბალათურია

საქ. სსრ ფინსახკომის კოლეგიის წევრი სახ. შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი.

ამ ცოტა ხნის წინათ შესრულდა სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების არსებობის ათი წელი.

ხელშემწყობი კომისიების, როგორც საზოგადოებრივი თვითმოქმედების მუდმივი ორგანოების შექმნა გაფორმებულ იქნა კანონმდებლობითი წესით სსრ კავშირის ცკაისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 15 მაისის დადგენილებით.

განვლილ ათ წელიწადში სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობმა კომისიებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს სახელმწიფო სესხების განაწილების მოწყობის, სახელმწიფო კრედიტის იდეების პროპაგანდის, სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა ყოველდღიური მომსახურების საქმეში.

საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, სოფლსაბჭოებთან და კოლმეურნეობებთან მოწყობილი ხელშემწყობი კომისიები გაიზარდნენ უდიდეს საზოგადოებრივ ძალად. ჩვენში, საქართველოში, ისინი ითვლიან 17.000 ორგანიზებულ, მუდმივად მომქმედ უჯრედს ამ კომისიების 40.000-ზე მეტი არჩეული წევრით.

ხელშემწყობი კომისიების მუშაობამ უდიდესი მასშტაბი მიიღო. თუ ათი წლის წინათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი განაწილებულ იქნა საქართველოში 16.176 ათასი მანეთის რაოდენობით, მესამე ხუთწლედის სესხზე (პირველი წლის გამოშვება) კოლექტიურმა ხელმოწერამ 98.675 ათასი მანეთი შეადგინა.

სესხებზე კოლექტიური ხელმოწერის მოწყობა ხელშემწყობი კომისიების ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ხელშემწყობი კომისიები ატარებენ მშრომელთა მიტინგებსა და საერთო კრებებს, რომლებიც მიძღვნილია სესხის გამოშვების სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების ამოცანებისადმი. ეს კომისიები გამოჰყოფენ რწმუნებულ აქტივისტებს, რომლებსაც ავალებენ ხელმოწერის ჩატარებას მუშათა და მოსამსახურეთა განუსაზღვრელ ჯგუფებში.

ხელშემწყობი კომისიები თვალყურს ადევნებენ იმას, რომ ჩვენი სესხების განაწილება ტარდებოდეს სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის საფუძველზე. კომისიების ფუნქციები არ განისაზღვრება მხოლოდ სესხზე ხელმოწერის ჩატარებით. შემდეგში, სესხზე კოლექტიური ხელმოწერის თანხის ათი თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადახდის დროს კომისიები შესაძლებლობას აძლევენ სხვა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მოსულთ განაახლონ თავისი ხელმოწერა სესხზე ახალ სამუშაო ადგილას; კონტროლს უწევენ სესხზე ხელმოწერის ანგარიშსწორების სისწორეს თავისი საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიაში, უზრუნველჰყოფენ თვითეული ხელმომწერისათვის ობლიგაციების თავის დროზე და სრულად მიცემას; თვალყურს ადევნებენ ხელმოწერით შემოსული თანხების თავის დროზე და სრულად შეტანას საწარმოს ბუჰხალტერიის მიერ შემნახველ სალაროში.

კომისიების შემდეგ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა მომსახურება საცნობარო მუშაობით.

კომისიები აცნობენ ობლიგაციების მფლობელთ სესხთა ტირაჟების ჩატარების ვადებს, ათავსებენ სათანადო ინფორმაციებს კედლის მრავალტირაჟიან გაზეთებში, გამოაკრავენ აფიშებსა და პლაკატებს მოგებათა ტირაჟების ჩატარების კალენდარული ვადებით.

სატირაჟო ცხრილების მიღების შემდეგ ხელშემწყობი კომისიები გამოაკრავენ ამ ცხრილებს განსაკუთრებულ „საცნობარო დაფებზე“, ამზადებენ განსაკუთრებულ ფარებს მოგებულ ობლიგაციათა სერიების ნუსხით, აგრეთვე აწყობენ განსაკუთრებულ „საცნობარო მაგიდებს“ ობლიგაციების შესამოწმებლად.

გარდა ამისა, კომისიები ფართო ინფორმაციას აწვდიან მშრომელთ „მოგებათა შემოწმების ბიუროს“ მუშაობის შესახებ. ეს ბიურო მოწყობილია სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის თბილისის საქალაქო სამმართველოსთან და თავისი საცნობარო მუშაობით ობლიგაციების შემოწმებას დარგში მომსახურებას უწევს მთელი საქართველოს მშრომელთ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მუდმივი და თანდათან გაძლიერებული ზრდა სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ხელშემწყობ კომისიებს მშრომელთა მომსახურების დარგში.

ამიტომ, ხელშემწყობი კომისიების მუშაობის აქტივიზაციისა და მათი ყოველდღიური და გეგმაშეწონილი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საკავშირო პროფსაბჭომ მიმდინარე წლის 25 მარტს გამოიტანა განსაკუთრებული დადგენილება ამ კომისიების მუშაობისადმი უველა პროფკავშირული ორგანიზაციისა და პირველ რიგში საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ.

თბილისის ტრამვაის სახელოსნოების დამხმარე კომისიის წევრი ამხ. მ. ჭანტურია ატარებს ხელისმოწერას შესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე მექანიკური საამქროს სტახანოველებს რ. იგიტოვსა (მარცხნივ) და გ. კობრეიძეს შორის.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო წყობილების გამაძლიერებლის ბრწყინვალე დემონსტრაცია

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის შემდეგ

გამოფენის პავილიონებში

მოსკოვი, 1 აგვისტო

მთავარ პავილიონში.

1 აგვისტოს, კოლმეურნეობათა მოედანზე მიტინგის დასრულების შემდეგ, სტუმრები გამოფენის დასათვალიერებლად გაემართნენ.

ამხანაგ მოლოტოვმა გადასჭრა ლენტი, რომლითაც გადაღობილი იყო მთავარი პავილიონის შესასვლელი, და მთავრობის წევრებთან და სტუმრებთან ერთად შეუდგა პავილიონის ცრცელი დარბაზების დათვალიერებას.

კოლმეურნეები, მეცნიერები, მუშები დიდხანს ჩერდებიან მოკავშირე რესპუბლიკების დიორამებთან, სტკბებიან მშვენივრად შესრულებული პეიზაჟებით, დღის კინოს ხუთ ეკრანზე განუწყვეტლივ აჩვენებენ კოლმეურნეობათა და მტს-ბის მუშაობისადმი და საბჭოთა კავშირის თავდაცვისადმი მიძღვნილ ფილმებს. დიდის ყურადღებით ათვალიერებენ სტუმრები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სტენდებს, მოწინავე მეცნიერების, სოფლის მეურნეობის ნოვატორებისა და მცდელების სტენდებს.

უკრაინის პავილიონში

კოლმეურნეობათა მოედნის მეორე მხარეზე სტუმართმოყვარეობით გაულია თავისი კარები ერთერთ უდიდეს პავილიონს — უკრაინის პავილიონს. ამ პავილიონს ხსნის მეღორე ქალი ორდენოსანი ამხ. მარჩუკ. პავილიონის საუცხოო დარბაზებში გამოფენილია შესანიშნავი მარცვლეულის ხვავები, შაქრის ჭარხლის უზარმაზარი ფესვები, შესანიშნავი ბამბა. მებაღეობის სტენდებზე ვაშლით, ჭერამითა და მსხლით სავსე ვეებერთელა კალათები და სინები. დაწვრილებით ეცნობიან პავილიონს და აღტაცებულნი არიან უკრაინელი გლეხების წარმატებებით საბჭოთა კავშირის გმირები ამხანაგი სპირინი და ვოდოჭიანოვი.

„მარცვლეულის“ პავილიონში

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა „მარცვლეულის“ პავილიონს, რომელიც აკადემიკოსმა ლისენკომ გახსნა. რამდენიმე საათის განმავლობაში იგი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან ჩამოსულმა ათასზე მეტმა ექსკურსანტმა დაათვალიერა. პავილიონის დარბაზებში ერთმანეთს შეხვდნენ უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. წარჩინებულმა კოლმეურნეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება, გაუზიარეს თავიანთი ახალი შესანიშნავი გეგმები.

საქართველოს პავილიონში

სსრ ჰავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ჩაის პლანტაციების სტახანოველმა ქალმა — გამოფენის მონაწილემ აიმე იუსუფის-ასულმა გურგენიძემ გადასჭრა წითელი ლენტი საქართველოს სსრ პავილიონის წინ.

პავილიონში ახალი ციტრუსების საამო სუნი დგას. მძიმე კალათებში აწყვია ოქროსფერი ფორთოხლები, დიდრონი გრეიპფრუტები, ლიმონები. სტუმრები სურათების, პანოების, ფოტოგრაფიების საშუალებით ეცნობიან საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკეთესო ადამიანებს. თუმცა მათ საკუთარი თვალითაც დაინახავ გამოფენის სხვა მხახველებს შორის. აი, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უშა ახუბა. იგი, როგორც სტენდზე გაკეთებული წარწერა მოგვითხრობს, დღეში 340-მდე კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს. სწორედ მან გამოიმუშავა წელიწადში 1730 შრომადღე!

მზე ულმობლად აცხუნებს. სტუმრებს იმედი აქვს, რომ სიგრილეს ჰპოვებენ ბაღში, რომელიც პავილიონს აკრავს. მაგრამ აქ ნაკლებ არ ცხელა. ორანჟერიის შუშის თაღი საუცხოო პირობებს ჰქმნის მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობის აღმოცენებისათვის. მწიფდება პამპელმუსის, ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინის ნაყოფი, ამწვანებულია თურინჯი, ბანანი, ზღმარტლი, დაფნა, ცეილონის, კალიფორნიის, ინდოეთის მცენარეულობის წარმომადგენლები. აქვეა ქინაქინის ხეების პატარა ბალა. ქინაქინის ხე წარმატებით ხარობს საქართველოს ნიადაგებზე.

პავილიონის შიგნით პატარა ეკრანზე მინიატურული კადრები გვიხატავენ რესპუბლიკის ულამაზეს ლანდშაფტებს. დიდი წარმატება აქვს პანორამას, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ გადაიქცა დაჭაობებული კოლხიდის დაბლობი აყვავებულ სუბტროპიკულ ველად.

აზერბაიჯანის პავილიონში

განუწყვეტლივ მიდიან გამოფენის მხახველები აზერბაიჯანის სსრ პავილიონის დარბაზებში, სადაც დაგებულია რბილი ხალიჩები. თითქოს ახალი თოვლით — ნაზი ბამბით — მოუფენიათ პავილიონის ცენტრი. დიდ აკვარიუმში ცურავენ ვეებერთელა თოთრები, შინის ჩარჩოს იქით ფუთფუთებენ აბრეშუმის ჭიები, ბზუიან ცნობილი „მშვიდობიანი“ ფუტკრები.

პავილიონში ერთერთი პირველთაგანი მოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, დივიზიის უფროსი დანილინი. იგი აღტაცებულია საბჭოთა აზერბაიჯანის მინდვრების სიმდიდრით. მხახველთა წიგნში არქიტექტურის სრულიად-საკავშირო აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პროფ. ვესნინმა ჩასწერა:

— ეს პავილიონი მზიანი აზერბაიჯანის სრულ მხატვრულ ასახულობას იძლევა. სასიამოვნოა ამ ნათელ, კოხტა პავილიონში ყოფნა, სადაც გრძნობ აყვავებული ქვეყნის სილამაზეს.

o

პავილიონებში მრავალი ხალხია. დიდი მოძრაობაა ფართო მოედნებზეც. გამოფენის თვითეული კუთხე საზეიმოდ გამოიყურება. განსაკუთრებული მხიარულებაა კოლმეურნეობათა მოედანზე. სტუმრები სტკბებიან უზარმაზარი აუზით, აღტაცებული არიან კუიბიშევის ჰიდროკვანძის პანორამით. მახლობლად ასობით ადამიანები უცქერენ დღის კინოში ფერად მულტიპლიკაციურ ფილმებს.

კაფეებსა და რესტორანებში ყველა ადგილი დაკავებულია.

ერთ მაგიდას ჩილაბინსკის ოლქის ექსკურსანტები უსხედან. წარჩინებულმა სტახანოველმა ორდენოსანმა ამხ. პეტკოვმა, შამპანურით სავსე თასი ასწია და თავის თანამემამულეებს ულოცავს დღესასწაულს —გამოფენის გახსნას. (საკდესი).

სოციალისტური მიწათმოქმედების დიადი სკოლა



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი (ზევიდან—მარცხნიდან მარჯვნივ) პ. შეითმიშვილი (ლაგოდეხის რ. სოფ. შრომას კოლმეურნეობის მეთაბმაქმე სტახანოველი), გ. ვარაზიშვილი და გ. დათუნაშვილი (გურჯაანის რ. საბჭოთა მეურნეობის „მუკუზანის“ სტახანოველი მუშები), ნ. ბასილაშვილი (გურჯაანის რ. კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ თავმჯდომარე), გ. ჩახვაშვილი (კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ პირველი ბრიგადის ბრიგადირი), მ. ჩახვაშვილი (გურჯაანის რ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) ნ. დალაქიშვილი (თელავის მიწათმოწყობის მთავარი აგრონომი), გ. მთვარელიშვილი (თელავის მიწათმოწყობის აგრონომი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

აკადემიკოსი ნ. ს. ციცინი
სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც 1 აგვისტოს გაიხსნა, სოციალისტური მიწათმოქმედების ისტორიაში შევა, როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა; მეტად ძნელია ჯეროვანად შეფასება იმ მოვლენის უდიდესი მნიშვნელობისა, რომელიც მას აქვს საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ მიღებულ კანონში ჩვენს წინაშე დასახული იყო საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — „მოგვეხდინა დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სოფლის მეურნეობის სიმძლავრისა და სიმდიდრისა მთელი მისი მრავალფეროვნებით“.

გამოფენის მშენებელთა და მონაწილეთა მთელი ძალღონე მიმართული იყო იმისაკენ, რომ ღირსეულად და ვადაზე შეესრულებინათ ეს ამოცანა.

პავილიონებში და სტენდებზე ფოტოსურათებსა და დიაგრამებში, საბუთებსა და მრავალ ექსპონატში ნათლად არის ასახული ის ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა სოციალიზმის ჩვენს სოფლის მეურნეობამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. დამაჯერებლად და ლამაზად არის ნაჩვენები, თუ როგორ შეიქმნა სსრ კავშირში ამხანაგ **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი მექანიზებული სასოფლო მეურნეობა, რომელიც განუწყვეტლივ მიდის შემდგომი ზრდის გზით. მნახველები გამოფენაზე ნახავენ ახალ, შეძლებულ, კულტურულ, საკოლმეურნეო სოფელს. ისინი ნახავენ მის სკოლებს, საავადმყოფოებს, სამშობიარო სახლებს, ბაგებს, კლუბებს, ქოხ-ლაბორატორიებს, თვალუწვდენ უხვმოსავლიან ყანებს, სადაც შესანიშნავ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობენ.

საკოლმეურნეო სოფელში გამოიზარდნენ სტალინური ეპოქის ახალი შესანიშნავი ადამიანები. გამოფენაზე საპატიო ადგილი აქვს დათმობილი უხვი მოსავლის ოსტატებს, საუკეთესო ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, მებამბეებს და მებაღეებს, მწველელებს, მწყემსებს, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე სტახანოველებს.

გამოფენის ბაღებში და ყანებში მრავალნაირი მცენარეულობა იზრდება—1000-მდე ჯიში ყველა იმ კულტურისა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჰხარობს: მარცვლეული და ბოლოლეული კულტურები, სელი, ბამბა, შაქრის ჭარხალი, კანაფი, კაუჩუკოვანი და ეთეროვანი კულტურები. დათესილია მარტო საგანგებოდ სულო ხორბალი 100-მდე ჯიში, ბოსტნეული, კარტოფილი და საბაღჩო კულტურები —500-ზე მეტი. გამოფენის ბაღებში 8.000 მეტი ძირი ვაშლი და მსხალია, 4.000-ზე მეტი კენკრის ბუჩქია, 700 ძირი ვაზია. მნახველი გამოფენაზე ნახავს აყვავებულ ბამბის მინდვრებს, ლიმონის, მანდარინის, ატმის ხეებს, რომლებიც დახუნძულია დამწიფებული ნაყოფით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი **ვ. მ. მოლოტოვი** ამბობდა, რომ გამოფენა „ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა პოპულარიზაციის საქმეს, მოელს საბჭოთა კავშირში, მათი მუშაობის საუკეთესო მაგალითების პოპულარიზაციასა და გავრცელებას“. გამოფენა მოწინავე გამოცდილების სკოლაა. მჭედელი და მეჯინიბე, ტრაქტორისტი და კომბაინერი, აგრონომი და აკადემიკოსი — თვითეული მათგანი მიიღებს პავილიონებში და გამოფენის მინდვრის ნაკვეთებზე მისთვის სასარგებლო ცოდნას.

გამოფენა სტახანოვური გამოცდილების სრულიად-საკავშირო სკოლაა. ის დაეხმარება ათიათასობით მეურნეობებს იმაში, რომ ისინი სოციალისტური მიწათმოქმედების მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ, დაეხმარება იმაში, რომ შეასრულონ და გადამეტებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის დარგში მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანები.

გამოფენა გახსნილია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

პავილიონის მნახველთა წიგნი ივსება აღფრთოვანებული ჩანაწერებით

მოსკოვი, 2 აგვისტო (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). გამოფენის გახსნის მეორე დღეს საქართველოს პავილიონი გაიღო დილის 8 საათზე. პავილიონი მაშინვე გაივსო მნახველებით. როგორც პირველ დღეს, ყურადღების ცენტრშია მთავარი დარბაზი, მიძღვნილი დიდი **სტალინისადმი.** დღის 3 საათამდე გაიარა 25 ექსკურსიამ.

გუშინ ჩამოვიდა წარჩინებულ ადამიანთა მეორე ჯგუფი ქუთაისის რაიონიდან ამხ. ნარსიას ხელმძღვანელობით. დღეს ელოდებიან სოღნაღის რაიონის კოლმეურნეებს.

პავილიონის მნახველთა წიგნი ივსება აღფრთოვანებული ჩანაწერებით. ბელორუსიის პავილიონის დირექტორი ორდენოსანი გერშმანი სწერს: „საქართველოს პავილიონი ისეთივე ლამაზი, წარმტაცი, მზიანია, როგორც საქართველოს მიწა-წყალი, როგორც ხალხი, რომელმაც წარმოშვა დიდი, მშობლიური, ბრძენი, ყველასათვის მეტად საყვარელი **სტალინი“.** ბრიგადის მეთაური კოზლოვი აღტაცებულია ქართველი ხალხის მიღწევებით, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მფრინავები მიკირუმოვი, შკეპოვი და აფანასიევი სწერენ: „ოსტატურად ნაჩვენებია საქართველოს სიმდიდრე და სიუხვე. საქართველოს პავილიონის მხატვრული გაფორმება დიდი გემოვნებითაა შესრულებული. მადლობა ძვირფას ამხანაგ მშენებლებს ამ საუცხოო პავილიონისათვის“. ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთა ჯგუფი უზომოდ აღტაცებულია აყვავებული მზიანი საქართველოს დიად მიღწევათა საუცხოო დემონსტრაციით.

გუშინ საღამოს პავილიონი ინახულეს ამხანაგებმა **შკირიატოვმა** და **ლოზოვსკიმ.**

ჩვენი მიწა საიმედო ხელშია

მეფის რუსეთმა მონაწილეობა მიიღო კოლუმბის სახელობის მსოფლიო გამოფენაში 1893 წელს. მე, მაშინ ყოფილ პეტრეს მიწათმოქმედებისა და სატყეო აკადემიის ახალგაზრდა პროფესორმა დავათვალიერე ეს გამოფენა ჩიკაგოში. რუსეთმა აჩვენა იქ წისქვილის მრეწველობის, ტერეშჩენკოსნაირ შაქრის ქარხნის პატრონების, ჩაის ვაჭარ პალოვების, მეთამბაქოე ბოგდანოვების და სხვა ბობოლების „მიღწევები“. ამ გამოფენაზე რუსეთის ექსპონენტები გრაფები და თავადები იყვნენ, არცერთი წარმომადგენელი არ იყო გლეხობიდან.

ან რა შეეძლო ეჩვენებინა მაშინ რუსეთს, როდესაც სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო სამინდვრიანობა, როდესაც პურის ნამდვილი მწარმოებლები—გლეხები —შიმშილით იხოცებოდნენ, საშინელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ?

ჩვენ არ გვაკვირვებს არც სტახანოვური მოძრაობა და არც სტახანოველთა უმაგალითო რეკორდები. სტახანოვური მოძრაობა კი თავისთავად ისეთ მკაფიო ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს, რომლითაც ახალი კომუნისტური ეპოქა იწყება. ეს შესანიშნავი სახალხო მოძრაობა და მისი ორგანიზატორები—სტახანოველები—1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უაღრესად განსაცვიფრებელ დოკუმენტს წარმოადგენენ.

ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი საამედო ხელშია. ჩვენ ვიცნობთ მიწათმოქმედების ნოვატორ-კოლმეურნეებს: ვ. დ. კოსტენკოს, რომელმაც ჰექტარზე 73 ცენტნერი ხორბალი აიღო, და კოლმეურნე მ. ე. ეფრემოვს, რომელმაც ჰექტარზე 500 და მეტი ფუთი ხორბალი აიღო. ჩვენ ვიცნობთ ათასობით კოლმეურნეობებს, რომელთაგან თვითეული იღებს 25-30 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს, 10 ცენტნერ სელის ბოჭკოს, 300-400 ცენტნერ შაქრის ჭარხალს და სხვ. მთლიანად სოფლის მეურნეობისა და ცალკეულ სტახანოველთა ეს მიღწევები მიღებულია იმის შედეგად, რომ ჩვენ მეცნიერულ-დიალექტიკურად მიეუდექით ბუნების შესწავლასა და გარდაქმნას. საბჭოთა ახალგაზრდობამ სწორედ გაიგო და პირველმა გამოიყენა, წესზე და რიგზე მოწინავე აგროტექნიკის კომპლექსი და მოსავლიანობის მაღალ შედეგებს მიაღწია.

სოციალისტური შრომის სახელგანთქმული გმირები, რომელთა წარმატებანიც ასე მიმზიდველად არის ნაჩვენები გამოფენის პავილიონებში, სოციალისტური სოფლის ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედების ოსტატები წარმატებით ნერგავენ წარმოებაში თესლბრუნვის ბალახთესვითს სისტემას, რაც ჩემს მიერ არის შემუშავებული და, რომ ჩემს მრავალი წლის სამეცნიერო შრომას არც თუ ცუდი ნაყოფი მოაქვს ჩემი სამშობლოსათვის.

სოფლის მეურნეობის სტახანოველები, ყველა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშები მჭიდროდ არიან დაკავშირებული აგრონომიულ მეცნიერებასთან, მათ გააბალგაზრდავეს იგი ღრმადრესი პრაქტიკით. მათ მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანები დასახეს, ისინი დახმარებას გვიწევენ ამ ამოცანების გადაჭრაში.

ჩვენი მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მაჯა სისხლჩარბად სცემს ისე როგორც ამას მოითხოვენ ჩვენი სამშობლოს წინაშე დასახული მაღალი ამოცანები. მეცნიერებაში მოვიდნენ ახალი ადამიანები, გაბედული ნოვატორები: ტ. დ. ლისენკო, ნ. ვ. ციცინი, ა. ი. დერჟავინი და მრავალი სხვა. ისინი გაბედულად ეძებენ აგრობიო-ქიმიური მეცნიერების ურთულესი პრობლემების გადაჭრის გზებს.

ყოველივე ის, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყანა, რითაც სახელი გაითქვეს სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატებმა და ჩვენმა სოფლის მეურნეობამ, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები გამოფენაზე. დარწმუნებული ვარ, რომ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვებს წარმოების სტახანოვიოთა და მეცნიერების ადამიანთა რიგებს, იგი შემოქმედებითი ძალების ახალ მოზღვავებას გამოიწვევს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

აკადემიკოსი ვ. რ. ვილიამსი

ოქუმის ახალი ადამიანები

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შესანიშნავად ხარობენ სუბტროპიკული კულტურები.

ჩაი და ციტრუსები აქაურ სტახანოველებთან უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე იქ, თავიანთ პირვანდელ სამშობლოში, ჩინეთსა და იაპონიაში, ამერიკასა და ინდოეთში.

ოქუმელი კოლმეურნეები ინდივიდუალურად უდგებიან ცალკეულ ნაკვეთს, ცალკეულ ხეს, შრომის ყოველ პროცესს.

ოქუმელების განკარგულებაშია 3287,32 ჰექტარი მიწა. 137,5 ჰექტარი უკავია ტუნგოს, 93,5 — ჩაის პლანტაციებს, 60,5 — მაღლარ ვენახებს, 56,5 — თამბაქოს პლანტაციებს, 9,5 — ნარინჯოვანთა ბაღებს, 382 — სიმინდის ყანებს.

ოქუმის კოლმეურნეთა შორის 205 კაცი სტახანოველია, რომელნიც სისტემატურად აჭარბებენ დაწესებულ ნორმებს და ამავე დროს მუშაობის მაღალ ხარისხსაც გვიჩვენებენ. მათ შეიცნეს და შეისწავლეს ბუნებისა და ამ კულტურების მთელი საიდუმლოება, იციან კოლხიდის მიწის ზღაპრული სიმდიდრის წყაროები, და ოდესღაც ღატაკი სოფელი ოქუმი ახალი ცხოვრების ამ მებაღეებმა გაამშვენიერეს, შეძლებული გახადეს.

გიორგი ჯგუბურია, ახლა რომ ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ორმოცი წლის განმავლობაში წარსული ცხოვრების სიდუხჭირეს საკუთარი ზურგით ეზიდებოდა.

გ. ჯგუბურია ზედმიწევნით იცნობს თავისი სოფლის ყოველ კუთხეს, იცის სად, როდის უნდა დაიწყოს ბვნა, თესვა, თიხნა, კულტივაცია, ნიადაგში სასუქების შეტანა, მოსავლის აღება. ყველაფერი ეს წინასწარ გამოანგარიშებული აქვს არამც თუ დღეობით, არამედ საათობითაც კი. სტახანოვური მეთოდებით მუშაობა და შრომის სწორი ორგანიზაცია გამარჯვებას აძლევს მას. ამის შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი სოფელი განახლდა, აყვავდა, პატარა სოციალისტურ ქალაქს დაემსგავსა.

სტახანოველმა კოლმეურნემ ჩოკოლი ქვაჩახიამ სიმინდის მოსავლიანობის გაზრდის საქმეში განსაცვიფრებელ მაჩვენებლებს მიაღწია. მან 1938 წელს ერთ ჰექტარზე 502 ფუთი სიმინდი მიიღო, მაშინ, როდესაც საქართველოში ჰექტარზე საშუალოდ 60 ფუთს ღებულობენ.

როგორ მიაღწია სტახანოველმა ქვაჩახიამ ასეთ მაჩვენებელს?!

მან ჯერ კიდევ ნოემბერში სტახანოვური ჰექტარი 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა, ხნულში 40 ტონა გადამწვარი ნაკელი შეიტანა. სიმინდი აღრე გაზაფხულზე — აპრილის პირველ რიცხვებში მწკრივად დასთესა. ყანები გათხნა იმდენჯერ, რაც უზრუნველჰყოფდა სარეველების სრულ მოსპობას. აგროწესების სრული გატარებით დაიცვა სიმინდის სიხშირე.

ჩოკოლი ქვაჩახიას სახელი ცნობილია მთელ დასავლეთ საქართველოში. მან შეჰქმნა ხუთასოვანთ მოძრაობა მესიმინდეობაში.

1939 წელს ჩოკოლი ქვაჩახიამ, რომელიც აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ვალდებულება აიღო სტახანოვურ ჰექტარზე მოეყვანოს 600 ფუთი სიმინდი, ამასთან ერთად იკისრა დანარჩენი ბრიგადის სტახანოველებსაც გაუზიაროს თავისი გამოცდილება, რათა მათაც სიმინდის ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღონ.

ჩოკოლი ქვაჩახია მარტო სიმინდის მოსავლიანობის გადიდებაში

ელ. პოლუმორდვინოვი

არ არის სტახანოველი, ის ასეთივე დიდი წარმატებით მუშაობს ჩაის პლანტაციებზეც. მან სტახანოვური ჰექტარიდან 6000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი აიღო.

იმ წელს, როდესაც ოქუმის მიდამოებში ჩაის ბუჩქები დაირგო, სტახანოველი ქალი დუშა ქვაჩახია 13-14 წლის გოგონა იყო. მეხუთე წელია, რაც ხარობენ და იზრდებიან ეს ჩაის ბუჩქები, და სწორედ ამ ხუთ წელში ტანმა აიყარა, გაიზარდა და დაქალიშვილდა დუშა ქვაჩახიაც. 17 კილოგრამის ნაცვლად იგი ახლა დღეში 227 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს. მისი თითები ისე სწრაფად და ჰარმონიულად დათამაშობენ ჩაის ფოთლებზე და ბუჩქიდან ბუჩქზე, როგორც საუკეთესო დამკვრელის თითები პიანინოს კლავიშებზე.

რაჟდენ ბულისკერია მეორე ბრიგადის ხელმძღვანელია. ამ ახალგაზრდას ახასიათებს სიმტკიცე, სიდინჯე, უნარი, სიმარჯვე და ცოდნა.

რ. ბულისკერიას ბრიგადის წევრებმა წინადღით იციან, თუ მეორე დღეს ვინ რა უნდა გააკეთოს. მისმა ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარიდან 3197 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა, სტახანოვური ნაკვეთიდან კი 5080 კილოგრამი.

შესანიშნავ მაჩვენებლებს იძლევა სტახანოველი კოლმეურნე ბარიტონ შადაძია. პირველ ხანებში ის დღეში 6-7 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფდა. ახლა კი ჰკრეფს 160 კილოგრამს, მაშინ როდესაც ნორმად 22 კილოგრამია დაწესებული.

მეათე ბრიგადის ბრიგადირი მამია ახვლედიანი 24 წლისაა, აქტიური კომკავშირელი და შრომის დიდი ენტუზიასტი. მისმა ბრიგადამ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 3064 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა, რითაც მან სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა.

მრავალწლიან კულტურათა შორის ფართობის მიხედვით ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პირველი ადგილი უკავია ტუნგოს. ტუნგო აქ 137,5 ჰექტარზეა გაშენებული. ტუნგოს 4-წლიანი ხეებიდან, რომელიც ორ ჰექტარ ფართობზეა გადაწლილი, ოქუმის კოლმეურნეებმა 1938 წელს პირველად მოჰკრიფეს 6736 კილოგრამი ნაყოფი, საიდანაც მათ 13472 მანეთი მიიღეს. წელს ტუნგოს კულტურის ფართობებს ემატება 30 ჰექტარი. და როდესაც ოქუმის პლანტაციების ტუნგოს ხეები სრულწლოვანი გახდებიან, კოლმეურნეობა მარტო ამ კულტურიდან ყოველწლიურად სამ მილიონ მანეთს მიიღებს.

აი კოლმეურნეობის მუშაობის შედეგები:

კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 1937 წელს შეადგენდა 1.198.737 მანეთს, 1938 წელს — 1.716.145 მანეთს. თვითეულ შრომადღეზე გაიცა 1937 წელს — 8 მ. 10 კაპ., 1938 წელს — 11 მანეთზე მეტი. ამ კოლმეურნეობამ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა ჩაის, ტუნგოს და თამბაქოს კულტურების ხათი.

ოქუმი — ეს არის ნამდვილი პატარა სოციალისტური ქალაქი, რომელიც საკოლმეურნეო შრომის შედეგად გადახალისდა და გარდაიქმნა. ოქუმელებმა თავიანთი სოფლიდან ჩიგვარამდე ცარა კილომეტრის მანძილზე გზატკეცილი გაიყვანეს, მდინარე ოქუმზე ასსამოცდახუთი მეტრის სიგრძის ხიდი ააგეს, ააშენეს საშუალო სკოლის თოთხმეტოთახიანი შენობა, რომელშიც ხუთასოცდაათი ბავშვი სწავლობს. ააგეს კოლმეურნეობის გამგეობის შენობა, კლუბი, სასტუმრო, ღვინის მარანი, ავტომანქანების გარაჟი, უნივერსალური და კოოპერატიული მაღაზიები, სასადილო.

ამ კოლმეურნეობის ხე-ტყის, ლიმონათის, ავგურ-ასბესტის და სხვა ქარხნები ახლა არა მარტო ოქუმს, არამედ მთელ გალის რაიონსაც ემსახურებიან.

კოლმეურნეობას აქვს თავისი ამბულატორია, რვასაწოლიანი სამშობიარო, ძუძუმწოვარ ბავშვთა კონსულტაცია, საბავშვო ბაღი ოცდათორმეტი ბავშვისათვის და საკუთარი აფთიაქი.

საზაფხულო კლუბთან, რომელიც აშენებულია შვიდასი მაყურებლისათვის, არის დრამატიული, საჭადრაკო, ფიზკულტურული და სხვა წრეები. აქვთ საკუთარი სასულე ორკესტრი, ველოსიპედკია, ჰყავთ ფეხბურთელთა და მომღერალთა გუნდები.

ახლახან ოქუმში 120 ცხენის ძალიანი ჰიდროელექტროსადგური ააგეს. კოლმეურნეთა ახლად ნაგები ოდები, მთელი სოფელი, მთელი მათი ცხოვრება ილიჩის ელნათურით და სტალინური მზით არის გაჩრაღდებული.

ჩემბერლენის სიტყვა თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 31 ივლისი (საკლესი). როგორც სჩანს,—განაცხადა ჩემბერლენმა,—ეს უკანასკნელი შემთხვევაა საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვისათვის პალატის საარდადეგოდ დათხოვამდე. ეჭვს გარეშეა, რომ ამჟამად არაერთი კერაა საგანგაშო მდგომარეობისა, და ეჭვი არ მეპარება, რომ პალატას სურს მიიღოს ჩემგან ზოგიერთი ინფორმაცია. ახლანდელ მდგომარეობაში, როცა ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მთელ რიგ უცხო სახელმწიფოებთან, მასთან მოლაპარაკებას ზოგიერთთან მეტად დელიკატური ხასიათი აქვს. მე ვფიქრობ, რომ მეტად ფრთხილად უნდა ვეპყრობოდეთ საკუთარ სიტყვებს და არ უნდა გავაზვიადოთ ჩვენს წრეში არსებული აზრთა სხვადასხვაობა. დალტონი (რედაქციის შენიშვნა. დალტონი პალატის წევრია, ლეიბორისტი) გვეკითხებოდა, რა გვაკეთებთ მარტიდან მშვიდობიანობის ფრონტის შესაქმნელად? მე ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის ასეთი შეკითხვები, როდესაც ჩვენი მუშაობის შედეგი ყოველ ნაბიჯზე სჩანს. დალტონმა სთქვა, ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ჩვენი ქვეყნის შეიარაღება განვაგრძოთო. პალატამ იცის, რომ ჩვენ კარგად გამოვიყენეთ მარტის თვიდან განვლილი დრო. ჩვენი თავდაცვა ახლა უსათუოდ სერიოზულია. შეთანხმებებს, რომლებიც ჩვენ, საფრანგეთთან ერთად, პოლონეთთან და თურქეთთან დავდეთ, დიდი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობიანობის ფრონტის შექმნის საქმისათვის. გარდა ამ ორი ქვეყანას, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვთ და მშვიდობიანობის ფრონტის იმ პრაქტიკულ ელემენტს არ წარმოადგენენ, რომელნიც ამჟამად იქმნება?

შეეხო რა დალტონის განცხადებას რუმინეთისა და საბერძნეთისათვის გარანტიების მიცემის შესახებ, ჩემბერლენმა განაცხადა: „ყველა, ვინც ანგარიშს უწევს სინამდვილეს, უნდა მიჰხვდეს, რომ დალტონის ეს წინადადება მცდარია.

ჩვენ დახმარება გავუწიეთ ამ ორ ქვეყანას მშვიდობიანი ფრონტის შექმნის საქმეში გარანტიების მიცემის გზით. ამ გარანტიებით ჩვენ მათ შევუქმენით რწმენა, რომ მათ ჰყავთ მეგობრები, რომლებიც აღიარებენ, რომ ეს ქვეყნები შეიძლება თავდასხმის ობიექტები გახდნენ, და რომლებიც მათ დახმარებას დაჰპირდნენ ამ შემთხვევაში. დალტონის სიტყვიდან მეტისმეტად ნათელი ხდება, რომ მშვიდობიანი ფრონტის ცნებაში მან შეიტანა მხოლოდ ერთი ქვეყანა, სახელდობრ სსრ კავშირი. სინკლერმაც (რედაქციის შენიშვნა: სინკლერი არის პალატის წევრი. ლიბერალთა ლიდერი) და დალტონმაც თავიანთი გამოსვლის მეტი ნაწილი სსრ კავშირთან გამართულ მოლაპარაკებას მიუძღვნეს და ორივემ განაცხადა, თუმცა ეს მათ აშკარად არ უთქვამთ, რომ შეთანხმების მიღწევის გაჭიანურებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ ჩვენი ქვეყანა. მე არ მინდა დღეს გადმოვცეთ საფრანგეთის, ინგლისის და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის წარმოებული მოლაპარაკების ისტორია, ვინაიდან კარგად მესმის, რომ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ამ მოლაპარაკების მიმდინარეობას და რომლებიც მეტისმეტად მოხარული იქნებოდნენ ხელთ ეგდოთ იარაღი იმისათვის, რომ ჩამოეგდოთ შუღლი ჩვენსა და საბჭოთა მთავრობას შორის (ტაში).

მე განზრახვა არა მაქვს მივცე მათ ეს იარაღი. რა თქმა უნდა არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ერთად ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას „არაპირდაპირი აგრესიის“ ტერმინის განსაზღვრის საკითხზე, რომელიც დააკმაყოფილებდა მოლაპარაკების ყველა მონაწილეს, თუმცა სამივე მთავრობას ესმის, რომ არაპირდაპირი აგრესია შეიძლება ისეთივე საშიში იყოს, როგორც პირდაპირი აგრესია. სამივე მთავრობას სურს იპოვოს აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის დამაკმაყოფილებელი მეთოდი. მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის უაღრესად არასასურველია, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ გვინდოდეს ხელყოთ სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობა, და თუ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები არ დაეთანხმნენ არაპირდაპირი აგრესიის განმარტებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი იძლევა, ეს იმიტომ მოხდა, რომ იმ ფორმულას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა იწონებს, ჩვენის აზრით, სწორედ ასეთი აზრი აქვს.

ეჭვი არ არის, რომ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს მეტი დრო დასჭირდათ საბჭოთა წინადადებებზე პასუხის გასაცემად, ვინაიდან მოლოტოვი მოლაპარაკებას ადგილობრივ აწარმოებს, მაშინ როდესაც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს უნდა მიჰმართონ და ერთმანეთს ეთათბირონ თავიანთი პასუხების შესათანხმებლად .

ჩემბერლენმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, როდესაც შეთანხმებებს წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკება. შეეხო რა უახლოეს დროში დროებითი შეთანხმების დადების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა სხვანაირად ფიქრობს და ამჯობინებს არაფერს. არ მოაწერეთო ხელი ან არ მოახდინოს რისამე პარაფირება მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული სრული შეთანხმება. ამის შედეგად,—სთქვა ჩემბერლენმა, — ჩვენ არ შეგვიძლია წარვუდგინოთ მსოფლიოს, როგორც ეს მე მინდოდა, დროებითი შეთანხმება უახლოეს დროში. შეეხო რა დღევანდელ განცხადებას სამხედრო მოლაპარაკების შესახებ, ჩემბერლენმა სთქვა: „ისტორიამ თითქმის არ იცის იმის პრეცედენტი, რომ ინგლისი და საფრანგეთი დათანხმებულიყვნენ გაეგზავნათ სამხედრო მისიები მანამდე, სანამ არ იქნებოდა მიღწეული პოლიტიკური შეთანხმება. ის გარემოება, რომ ჩვენ დავთანხმდით გაგეგზავნა არმიის, ფლოტისა და ავიაციის წარმომადგენლები მოსკოვში სამხედრო გეგმების ერთად განსახილველად, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს იმის გარანტიები, რომ შეთანხმებას მივაღწევთ პოლიტიკურ საკითხებზე, ცხადჰყოფს ჩვენს რწმენას და გულწრფელ ძლიერ სურვილს, რომ წარმატებით დავაგვირგვინოთ ეს მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ თუ დაიწყება სამხედრო მოლაპარაკება, რასაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაშინ პოლიტიკური სიძნელეები აღარ იქნება დაუძლეველიო. სწორედ ამ განცხადებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როდესაც ვიღებდით ჩვენს უაღრესად უჩვეულო გადაწყვეტილებას, და როგორც საფრანგეთის მთავრობას, ისე ჩვენ გულწრფელი იმედი გვაქვს, რომ მოლოტოვის წინასწარმეტყველება გამართლდება“.

შეეხო რა დანციგის საკითხს, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ევროპაში ამჟამად შეშფოთების მთავარ საგანს წარმოადგენს დანციგის საკითხი და გამოსთქვა რწმენა, „რომ პოლონეთის მთავრობა, რომელმაც შესანიშნავი სიმშვიდე გამოიჩინა, ბრძნულ სახელმწიფოებრივ თავდაჭერილობას გაიგრძობს თავის პოლიტიკაში“.

შეეხო რა შორეულ აღმოსავლეთის ამბებს, ჩემბერლენმა სთქვა: „მე კვლავ ვაცხადებ, რომ მთავრობა არ შესცვლის თავის პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში სავა სახელმწიფოს თხოვნით, და იაპონიას ეს არც მოუთხოვნია ჩვენგან. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს წინაშე მრავალი სიძნელეა წამოჭრილი იმ დელიკატურ მოლაპარაკებაში, რომელიც ამჟამად სწარმოებს. მაგრამ უკანასკნელ სიძნელეს წარმოადგენს ის ენერგიული ანტიბრიტანული აგიტაცია, რომელსაც ჩრდილოეთ ჩინეთში ეწევიან იაპონელთა მიერ ინსპირირებული და მათ კონტროლ ქვეშ მყოფი ადამიანები. მე უნდა ვსთქვა, რომ თუ ეს აგიტაცია გაგრძელდა და თუ გაგრძელდა თავდასხმები ინგლისის ინტერესებსა და ინგლისის უფლებებზე, ინგლისის მთავრობა იძულებული იქნება ძალიან სერიოზულად მოეკიდოს ამ საქმეს. ამ პირობებში მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაც ძალიან ძნელი იქნებოდა“.

რაც შეეხება იაპონელთა მიერ დაყენებულ საკითხს იმის შესახებ, რომ ინგლისმა გადასცეს მათ ჩინეთის ვერცხლი, რომელიც ტიანძინის კონცესიის ტერიტორიაზე ინახება, და ხელი აიღოს ჩინეთის ვალუტისათვის თავდაჭერაზე, ჩემბერლენმა სთქვა, რომ ეს საკითხები არ განეხილებოდნენ ტიანძინის კონფლიქტით, არამედ მათ უფრო საერთო მნიშვნელობა აქვს და მარტო ინგლისს არ შეეხება. ამიტომ სავსებით ნათელია, — სთქვა მან, — რომ ასეთი საკითხები ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ, თუ ისინი სავსებით არ შეუთანხმებთ სხვა ქვეყნებს, რომელთა ინტერესებიც ისევე ზარალდება, როგორც ჩვენი ინტერესები. აქ აღნიშნეს ამერიკის მთავრობის მიერ ამას წინათ მიღებული ღონისძიებანი. მე ვფიქრობ, რომ ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ინგლისის მთავრობის მიზნები და ამოცანები ძალიან ახლოა ერთმანეთთან, მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ თვითეული ჩვენგანი აუცილებლად სწორედ ისე უნდა მოიქცეს, როგორც სხვა იქცევა.

გუდაუთის (აფხაზეთის ასსრ) დასასვენებელ სახლის „ოლგას“ პარკში. სურათზე: „აყვავებულ მაგნოლიასთან“.
ფოტოეტიუდი.

ახალი მიღება უმაღლეს სკოლაში

დაიწყო მისაღები გამოცდები. გამარჯვებული სოციალისტური ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა უდიდესი ენტუზიაზმით მიდის უმაღლეს სკოლაში. შეუნელებელი ენერგიით მიისწრაფვის ახალგაზრდობა საბჭოთა მოწინავე მეცნიერების დაუფლებისაკენ.

ჩვენი უმაღლესი სკოლებიც ორგანიზებულად და მომზადებულად შეხვდნენ ახალგაზრდათა ახალ ნაკადებს. საზეიმოდ მორთულია უმაღლესი სკოლები. მუშაობენ საგამოცდო და მიმღები კომისიები. გამოქვეყნებულია გამოცდაზე დაშვებულთა სიები და საგამოცდო ცხრილი.

თვალსაჩინოდ გაიზარდა პირველ კურსზე მისაღებთა კონტინგენტი. 1939 წლისათვის საქ. განსახკომის სისტემის უმაღლეს სკოლებს 3320 სტუდენტი შეემატება. გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების ქსელიც. XVIII პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, განსახკომის უმაღლეს სკოლებს სამი ახალი სამასწავლებლო ინსტიტუტი მიემატა. თელავის, ზუგდიდისა და თბილისის პედასწავლებლები გადაკეთდა სამასწავლებლო ინსტიტუტებად. გორის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა ოთხწლიან სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად.

უაღრესად დიდია ახალგაზრდობის მისწრაფება უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისაკენ. საქ. განსახკომის სისტემაში შემავალ უმაღლეს პედაგოგურ სკოლებში, მიმდინარე წლის 30 ივლისის ცნობების მიხედვით, 8590 ახალგაზრდამ შეიტანა განცხადება, მათ შორის 1120 საშუალო სკოლის ფრაიდოსანი კურსდამთავრებულია. შემოტანილ განცხადებათა რაოდენობის მხრივ პირველ რიგში დგას ქართული საბჭოთა კულტურის ქერა — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც 3171 კაცი აბარებს მისაღებ გამოცდებს; ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში — 1582, თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში — 1100 და სხვ. ზუგდიდის ახლად ჩამოყალიბებულ სამასწავლებლო ინსტიტუტში 382 კაცი აბარებს გამოცდას, ხოლო მისაღებთა კონტინგენტი 120 კაცს უდრის. მსგავსი მდგომარეობაა თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტშიაც.

შემოსულ განცხადებათა რაოდენობის მიხედვით თვითეულ ვაკანტურ ადგილზე სამუალოდ გამოცდას აბარებს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 9 კაცი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტში 6 კაცი, თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში — 3 კაცი და ა. შ. ხოლო უმაღლეს სასწავლებელთა ცალკეულ ფაკულტეტებზე კიდევ უფრო მაღალია საკონკურსო მაჩვენებლები. თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სექციაზე ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცდას აბარებს 13 კაცი, ისტორიის ფაკულტეტზე — 9, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე — 9, ბიოლოგიის ფაკულტეტზე—8 კაცი.

განსაკუთრებულად გაიზარდა ახალგაზრდობის მისწრაფება რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობისაკენ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგზე 290 განცხადებაა შეტანილი, მათ შორის 100 კაცი ფრიადოსანია, ქუთაისის პედინსტიტუტში ამავე დარგზე 130 განცხადებაა შემოტანილი, მათ შორის 76 ფრიადოსანია.

უმაღლესი სკოლების დირექციების, მიმღები და საგამოცდო კომისიების წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. მათ უნდა უზრუნველჰყონ მისაღები გამოცდების ორგანიზებულად და წესიერად ჩატარება.

ვ. ძაჯაია

საქ. განსახკომის უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მისაღები გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში

მისაღები გამოცდებისათვის კარგად მოძზადებულან. ამიტომ აუდიტორიებში, სადაც გამოცდებს იბარებენ, სანიმუშო წესრიგია დამყარებული. საგამოცდო კომისიებს მედინსტიტუტის პროფესორები ხელმძღვანელობენ. მათემატიკის კომისიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პროფ. კ. ერისთავი ხელმძღვანელობს, რუსულისას—პროფ. ე. ზაქარაია, საქმაღალი ისტორიისას—პროფ. პ. ქავთარაძე, ფიზიკისას—პროფ. პ. ბუაჩიძე, ქიმიას—პროფ. იოსელიანი და სხვ.

მისაღებ გამოცდებზე მოსული ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა, თავის ცოდნასა და მომზადებაში დარწმუნებული, აუღელვებლად შედის აუდიტორიებში და აბარებს საკონკურსო გამოცდებს. სამედიცინო ინსტიტუტში 550 ვაკანტური ადგილიდან 330 ფრიადოსნებმა დაიკავეს. დარჩა 220 ადგილი, რომლისთვისაც 1048 კაცი „იბრძვის“. ერთ ადგილზე ხუთი კაცი აბარებს გამოცდას. აქ თუ კარგად არა ხარ მომზადებული, ყველა საგანში საფუძვლიანი ცოდნა არა გაქვს, არ მოხვდები ინსტიტუტში. ამიტომ ახალგაზრდები ცდილობენ გამოცდის პირველი დღიდანვე უჩვენონ საუკეთესო მომზადება. ასეთებია, მაგალითად, სერგო მოლაშვილი, დარეჯან ვანიძე, კატუშა ესართია, ლიდია ვაშკელეველიძე და სხვ. მათ პირველი საგამოცდო საგანი „ფრიადზე“ ჩააბარეს და ახლა სხვა საგნებისათვის ემზადებიან. საერთოდ პირველი დღის შედეგებით ირკვევა, რომ წელს უკეთ მომზადებული ახალგაზრდები მოგვცა ჩვენმა საშუალო სკოლამ.

გამომცდელთა და გამოსაცდელთათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. სხვათა შორის არის ე. წ. გასართობი ოთახიც. მაგრამ, ეტყობა, გასართობად არავის სცალია: გასართობი ოთახი ცარიელია. სამაგიეროდ სავსეა ახალგაზრდებით დიდი **სტალინის** ოთახი, საკონსულტაციო ოთახები, სადაც გამოსაცდელები რჩევა-დარიგებასა და ახსნა-განმარტებას ღებულობენ გამოცდის პროცესში წამოჭრილ საკითხებზე.

მისაღებ გამოცდებს უშუალოდ ხელმძღვანელობენ პროფ. ალ. მაჭავარიანი და პროფ. ვლ. ღლონტი. მათ არცერთი კომისია არ რჩება უყურადღებოთ. ყველას ამოწმებენ, ეხმარებიან, შეძრნეულ ნაკლოვანებებს ასწორებენ, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რათა საუკეთესოდ მომზადებული კონტინგენტი შეურჩიონ ინსტიტუტს.

არ. კოკილაშვილი
შ. ჯიქია

ახალი პარისსაბჭოში ქარხანა

შემოდგომაზე პარიზის რაიონში ამუშავებს ახალი პორტლანდცემენტის ქარხანა. ეს ქარხანა რიცხვით მესამე იქნება თბილისში. მისი საგანძურ და ამწეებით შეიქმნება საჭირო ტემპი იქნება ნაკლებად მოწყობილი ფურნე. ახალი ქარხნის ასაგებად საჭირო მიწის ნაკეთი უკვე გამოჰყო თბილისის საბჭომ. იქვე გათვალისწინებულია მიწის ახალი ნაკვეთი ქარხანაში მომუშავეთა საერთო სიხოვრებლის ასაგებად.

ახალი პორსაცხობი ქარხნის მშენებლობა ერთ წელიწადში უნდა დამთავრდეს. ქარხანას ექნება ახალი ავტომატური მოწყობილობა და დღეღამეში გამოუშვებს 40 ტონა გამომცხვარ პურს.

ახალი ქარხნის აგება სამი მილიონ მანეთამდე დაჯდება.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

30 ივლისს დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ სსრკ ფეხბურთელთა 20, რესპუბლიკური თასების გათამაშებაში გამარჯვებული 12 გუნდი.

თასის გათამაშების პირველ დღეს მოსკოვის „დინამომ“ მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს“ ანგარიშით 4:1, ხოლო, სტალინოში ადგილობრივ „სტახანოველთან“ შეჯიბრებაში დამარცხდა თბილისის „ლოკომოტივი“. რომელმაც მატჩი წააგო ანგარიშით 6:2.

თბილისის „დინამოს“ პირველი შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე შესდგება დღეს 3 აგვისტოს, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე. თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ითამაშებს მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი.

სსრკ თასის გათამაშების დებიუტის თანახმად, დამარცხებული გუნდი გამოდის შეჯიბრებიდან.

თბილისის უნივერსიტეტის გუნდი საქართველოს ჩემპიონია ფეხბურთში

დამთავრდა ფეხბურთის პირველი ჯგუფის გუნდების შორის გათამაშება საქართველოს პირველობაზე.

1 აგვისტოს „დინამოს“ ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა საფინალო შეხვედრა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და ფოთის გუნდი „კოლხიდა“.

პირველ ტაიმში თვითეულმა გუნდმა თითო ბურთი გაიტანა, მეორე ტაიმში უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა ფოთელების კარში გაიტანეს კიდევ სამი ბურთი და სანამ პასუხს არც ერთი არ მიუღიათ. შეხვედრის შედეგია 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამრიგად საქართველოს ჩემპიონის სახელწოდება ფეხბურთში და „სსრ კავშირის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა.

მწერალთა კლუბში

3 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, მწერალთა კლუბში შესდგება ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საღამო შემდეგი პროგრამით: „სამართლიანი და უსამართლო ომები“ (მომხს. ა. ფ. ანისიმოვი), „ომი და მხატვრული ლიტერატურა“ (მომხს. ამხ. ბეს. ჟღენტი).

მოხსენების შემდეგ მწერლები და პოეტები წაიკითხავენ ლექსებსა და ნაწყვეტებს სამხედრო-თავდაცვის თემაზე.

გასწორება

„კომუნისტის“ 2 აგვისტოს ნომრის პირველ გვერდზე მოთავსებულ ინფორმაციაში სახელმწიფო საშინაო სესხის მე-3 ტირაჟის შესახებ უკანასკნელი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „240 მოგებაა—თვითეული 5.000 მანეთიანი და სხვ.“

შემთხვევები

ავარია. 1 აგვისტოს დილით პლეხანოვის პროსპექტისა და ეორესის ქუჩის კუთხეში მოხდა ორი ავტომანქანის დაჯახება. ერთი მანქანა № 10-19 ეკუთვნის პურჭაჭრობას (შოფერი ვაკულინი), ხოლო მეორე—№ 24-50—თბილისის ტრამვაის (შოფერი კლინდუხოვი). ავტომანქანების დაჯახების დროს № 10-19 მანქანის კაბინიდან გადმოხტა პურჭაჭრობის ეკსპედიტორი მოქ. პოდგორიანი, რომელიც მძიმედ დაშავდა და იქვე გარდაიცვალა.

№ 10-19 ავტომანქანის შოფერმა—ვაკულინმა ავტომანქანა ქუჩაში მიატოვა და მიიმალა. მიღებულია ზომები დაშნაშავე შოფერის აღმოსაჩენად. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

3 აგვისტოს 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. რუხაძის ლექცია: თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში—ამხ. კ. კ. გრიგორიანის ლექცია თემაზე: სალტიკოვ-შჩედრინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5 აგვისტოს უკანასკნელად

მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამგზავრების წინ

საქართველოს ხალხური სიმღერის და ცეკვის

გაერთიანებული საკოლმეურნეო ანსამბლის კონცერტი

რემა შელეგიას ხელმძღვანელობით

საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები და ცეკვები

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის სალაროში. 2—1

სახელმწიფო სახელოვნებო თეატრი და ბაღი

(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი

3, 4 აგვისტოს

მუდმივი ადგილ. ტალ. № 67, 68

სახელმწიფო ოპერეტის თეატრის

ბალეტმეისტერები

ხოლოპკა

მუს. კომ. 3 მოქმ.

სამხატვრო ხელმძღვან. ა. ოლგარი

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე

სალარო ღიაა დილის 11 საათ. 3 საათ.,

საღამოს 6 საათ. 11 საათ.

დახურული თეატრი

3, 4, 5, 6, 7 აგვისტოს

ლენინგრადის **ბოშური სიმღერებისა** და **ცეკვების** ანსამბლის გასტროლები.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთები იყიდება

ღია ესტრადა

3, 4 აგვისტოს

მხატვრული ხმოვანი კინოფილმი

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

„საქმომარაგების“ ლიტონ-ჭექნიკურ კანტორას

ესაჭიროება მთავარი ბუხჰალტერი, მოკანგარიშე-ქარტოტეკარები და მემანქანე რუსულ ენაზე.

პირობების გასაგებად მიმართეთ კანტორის დირექციას. ლენრაიონი, ხუთწლედის ქ. № 16. 2671

ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის საფ. საქ. სკოლა

ღებულობს მოწაფეებად ახალგაზრდებს 15-დან 18 წლის ასაკამდე 5 კლასის ცოდნით.

სამოსწავლო დრო 2 წელია.

მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 60 მანეთს და ზევით, მათი სწავლის მიხედვით.

სკოლაში შესასვლელად საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი, 5. პასპორტი (წარედგინება პირადად გამოცხადების დროს).

განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე 8-დან 4 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღისა 25 აგვისტომდე.

მისამართი: თბილისი, მიასნიკოვის ქ. № 82.

ტელეფ. 3-45-08, 3-20-63.

50 ადმინისტრაცია.

საქ. სარეწაო საბჭოს თბილისის სასწავლო კომბინატი

1939-40 სასწავლო წელს ღებულობს 4, 5, 6 კლასდამთავრებულ ახალგაზრდებს, ორივე სქესისას, 16-დან 20 წლამდე ორწლიან პროფტექნიკურ სკოლაში სამკერვალო, სატრიკოტაჟო და ფეხსაცმლის შემკერავთა სპეციალობაზე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებასთან ერთად მეტრიკა, განათლების მოწმობა და ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: მშობლიური ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია და სსრკ კონსტიტუცია. მოსწავლეთა 50% უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლით. ყველა მოსწავლეს მიეცემა სტიპენდია 65 მან. თვეში. განცხადებების მიღება—ა. წ. 5 ივნისიდან 20 აგვისტომდე. გამოცდები—25 აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე. რაიონებიდან ჩამოსულმა მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი. განცხადება და საბუთები გამოგზავნილ უნდა იქნას სასწავლო კომბინატის დირექციის სახელზე შემდეგი მისამართით: თბილისი, ბაირამოვის ქ. № 48.

280 დირექცია.

„ცეკავშირის“ დარგობრივ გაერთიანება „საქხილბოსტანის“ ბალანსი 1939 წლის 1 იანვრისათვის (მანეთობით)

აქტივი — პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.	№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან.
1	საქონელი და მზანაწარმი	2353488	1	ფონდები	843284
2	ფულადი სამუალებანი	777311	2	რეზერვები და სარეზერვ. ანგარიშები	28092
3	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	1397253	3	გრძელვადიანი კრედიტები	3339985
4	ანგარიშვალდებული პირნი	11365	4	მოკლევადიანი კრედიტები	2036056
5	მომავალი დროის ხარჯები	23851	5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	1454883
6	ჯანყენებული საშუალებანი	834438	6	დაგროვება საანგარიშო წლისა	805321
7	ძირითადი საშუალებანი არა ამორტიზ. ნაწ.	2115762			
8	მასალების, ნედლეულის და სათბობის მარაგი	929919			
9	დაუმთავრებელი წარმოება	78234			
	ბალანსი...	8521621		ბალანსი...	8521621

1938 საოპერაციო წლის მოგება-ზარალის ანგარიში

1.	მიმოქცევის ხარჯები	3525345	1. რეალიზებული დარიცხვა და კომისია მიღებული	3121822
2.	ადმინისტრატიულ-სამ. ხარჯები	384500	2. საექსპლოატაციო წამოყენებათა დაგროვება	1505821
3.	დანარჩენი დანაკარგები	691642	3. დანარჩენი დაგროვება	779335
	სულ...	4601687		
	დაგროვების სალდო	805321		
	ბალანსი...	5407.008	ბალანსი	5407.008

ბალანსი განხილულია და დამტკიცებულია ცეკავშირის პრეზიდიუმის მიერ ა. წ. 11 თებერვალს, ოქმი № 10.

„საქხილბოსტანის“ დირექტორი **ა. არეშიძე.** მთ. ბუღალტერი **შ. ღლონტი.** 1050

დედა ელისაბედ, მეუღლე ნინო შვილებით, დები ელენე, ლიდა, ძმა გრიშა მეუღლით ანიკოთი ნიკოლაძეები იუწყებიან, რომ 6/VIII, ქ. სამტრედიაში დანაშნულია ინჟინერ

ვლადიმერ (ლადო) ეგნატეს-ძე ნიკოლაძის

პანაშვიდი. 2669

საქ. ფინსახკომის ადგილობრივი ბიუჯეტის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამმართველოს თანამშრომელ ნანო პატიაშვილს მისი მამის

ივანე დიმიტრის-ძე პატიაშვილის

გარდაცვალების გამო. 2672

ა.-კ. რკინიგზის სამმართველოს იურიდიული განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ იურისკონსულტ გიორგი ღოლობერიძის მამის

სოლომონის

გარდაცვალების გამო. 2667

მჭედლიშვილი, ბენდელიანი, გრიქურაშვილი, იაკობაშვილი, ხვედელიანი, ტაბატაძე, კალოიანი, მესხი, გრიგოლაშვილი, სუთიძე, ენუქიძე, ჯანგირძე იუწყებიან ფინგვის გამგის ვალერიან ჩაჩუას მეუღლის

ლიდას

გარდაცვალებას. 2668

ქალ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს პრეზიდიუმი თანაგრძნობას უცხადებს ამავე რაისაბჭოს სანფინანსო განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ჩაჩუას მისი მეუღლის

ლიდა ჩაჩუას

გარდაცვალების გამო.

ორჯონიკიძის რაიჯანგანყოფილების მუშაკები იმნაძე, ტაბატაძე, ფილიპოვი, შავიშვილი, გოგიაშვილი, ვაშაკიძე, ჩხაიძე, ვადაკკორია, ხოფერია, ტრაპაიძე, ჭყონია იუწყებიან ვალიკო ჩაჩუას მეუღლის

ლიდა ჩაჩუას

გარდაცვალებას. 2670

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მოკავშირეთა—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1709